

ვინც ამბობს, ეკონომიკის სამინისტროში „დაუნდობელი მენეჯმენტი“ უნდა გაგატარო, იმას ეკონომიკის არაფერი ესმის

გაზეთი “საერთო გაზეთი” – 17 დეკემბერი, № 31, 2008

საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში შექმნილია სიტუაცია, რომელიც დიდი საფრთხეების შემცველია. ეს საფრთხეები იმ შეცდომების შედეგია, რაც ბოლო წლების განმავლობაში „უხვად“ იქნა დაშვებული. შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს რუსული სამხედრო აგრესია. ეკონომიკის ექსპერტების აზრით, 2009 წელი იქნება ყველაზე რთული და კრიზისული. ჩვენთვის მთავარია ვიცოდეთ, რა ზეგავლენა ექნება მას უშუალოდ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკის ექსპერტს, პროფესორ – ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, ის რაც დღეს ჩვენში ხდება, არის კი მხოლოდ გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგი?

– საქმე იმაშია, რომ საქართველოში ფინანსური ბაზრები პრაქტიკულად განუვითარებელია და ამიტომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებთან მის ინტეგრირებაზე საუბარიც კი ზედმეტია. აქედან გამომდინარე, მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ფინანსური სექტორიდან წამოვიდა და შემდეგ ჯაჭვური რეაქციით განვითარდა საქართველოს პირდაპირ არ ეხება. თუმცა, ვინაიდან ჩვენ სხვა პლანეტაზე არ ვცხოვრობთ, ეს კრიზისი ირიბად შეეხო ჩვენს ქვეყანას. საუბარია იმაზე, რომ შემცირდა ჩვენში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, შემცირდა ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი გზავნილების შემოსვლა, ყველგან კრიზისია. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოში შემცირდა ვალუტის შემოდინება. ბუნებრივია, როგორც ეს ვალუტა მცირდება,

თანაფარდობა უცხოურ ვალუტასა და ჩვენს ლარს შორის, სამწუხაროდ აღარ არის ლარის სასარგებლოდ და ხდება მისი გაუფასურება. ამ დროს ლარის გაუფასურება ობიექტური პროცესია, და შეიძლება ორი სცენარი განვითარდეს – ნახტომისებური დევალვაცია და მცოცავი, ნარნარი დევალვაცია. ნებისმიერ შემთხვევაში დევალვაცია გარდუვალია. ყველაზე ცუდი სცენარი არის პირველი – ნახტომისებური დევალვაცია იმიტომ, რომ ის არის არაპროგნოზირებადი, ამ დროს მეწარმე ვერ ახერხებს ადაპტაციას შეცვლილ ვითრებასთან, და ფასწარმოქმნაში პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც წესი, ყველა გაურბის ეროვნულ ვალუტას, იზრდება ეკონომიკის დოლარიზაცია, ბანკები აღარ გასცემენ კრედიტებს ლარში, რაც არის ძალიან ცუდი, ეროვნული ეკონომიკისათვის. ეს პრობლემა არ იქნება ასეთი მწვავე, თუ განხორციელდება მცოცავი, ნარნარი დევალვაცია, ანუ მთელი ეკონომიკა თანდათანობით მოერგება გაუფასურების რეჟიმს, რომელიც იქნება პროგნოზირებადი და მოხდება ადაპტაცია. ეს არ არის დამანგრეველი ბაზრისათვის. ამ დროს ლარის კურსის შენარჩუნებას არანაირი აზრი არ აქვს, უბრალოდ არჩევანი უნდა გაკეთდეს ორ სცენარს შორის.

– ნოემბრის თვეში განხორციელებულ საბანკო აქციას, თქვენ „მწვანე პარასკევი“ უწოდებთ, რა მოხდა მაშინ, და როგორ განვითარდა მოვლენები მის შემდეგ, ახლა უკეთესი მდგომარეობა გვაქვს?

– საქართველოსათვის ავბედით 7 ნოემბერს, ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მოწოდების პირობებში 31 მილიონს გადააჭარბა. ეროვნულმა ბანკმა ამ მოთხოვნიდან 270 ათასი დააკმაყოფილა და შემდეგ საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა, ვითომდა, ტექნიკური მიზეზების გამო. ამან კი, იმავე დღეს შექმნა პანიკა. ბანკომატები ფულისაგან მყისიერად დაცარიელდა, გადამცვლელმა ჯიხურებმა დოლარის კურსი ასწიეს, დოლარს კი არ ყიდნენ. ასე რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყანას „მწვანე პარასკევი“ მოუწყო. დაბნეულობა შაბათ-კვირას გაგრძელდა, ხოლო ორშაბათს დაფიქსირდა ლარის ახალი კურსი, რომელიც „მწვანე პარასკევის“ დილასთან შედარებით ლარი დოლართან მიმართებაში 15 პროცენტით გაუფასურდა. მხოლოდ ამის მერე გააკეთა ეროვნულმა ბანკმა განცხადება, ეს ყოველივე წინასწარ იქნა დაგეგმილიო.

7 ნოემბრის შემდეგ, ეროვნული ბანკი აგრძელებს პრაქტიკულად უცვლელ კურსს. 11 ნოემბრიდან კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს დოლარის გაყიდვა და ეროვნულმა ბანკმა იყიდა 10 მლნ-მდე დოლარი. რაც, თავისთავად კარგი იყო და შეივსო რეზერვები. ეს გრძელდებოდა 18 ნოემბრამდე, მის მერე კი კომერციულმა ბანკებმა კვლავ დაიწყეს დოლარის ყიდვა და ერთადერთი გამყიდველი – კვლავ ეროვნული ბანკი აღმოჩნდა.

ამ ერთი თვის მანძილზე უცვლელად შეინარჩუნეს გაცვლითი კურსი 1,65; ამ კურსის შენარჩუნებისათვის დახარჯეს 140 მილიონი დოლარი – რეზერვიდან. პრაქტიკულად, დღეს ეს კურსი ხელოვნურად უჭირავთ. წაგება არის – 130 მილიონი დოლარი. ეს არის შეცდომა. ამის შემდეგ კვლავ რჩება რეალური საფრთხე იმისა, რომ მორიგი „ნახტომი“ არ გაიმეორონ.

– არის თუ არა ლარის გაკუპონების საფრთხე, რომელზეც ბიზნესმენები საუბრობენ?

– მინდა ვუთხრა გაზეთის მკითხველს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ლარის გაკუპონების ობიექტური საფრთხე არ არსებობს! მართალია, უცხოური ინვესტიციები შემცირდა და ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ 22 ოქტომბერს მიღებულია ბრიუსელში გადაწყვეტილება საქართველოსათვის 4,5 მილიარდი დახმარების გამოყოფის შესახებ. აქედან 2 მილიარდი გრანტია, ხოლო 2,5 მილიარდი სესხი. ეს ფული შემოვა თანდათანობით და დაიხარჯება ლარში, მისი, როგორც რეზერვის აკუმულირება მოხდება ეროვნულ ბანკში. ამით, ეროვნულ ბანკს რეზერვების შევსების წყარო აქვს. მთლიანად ეს ფული შემოვა 2010 წლის 31 დეკემბრამდე. ასე რომ, ლარს ობიექტურად კუპონიზაციის საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, 7 ნოემბრის გამეორების საფრთხე არსებობს. სამწუხაროა, რომ ვინც ეს აქცია მოაწყო – არ დასჯილა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. აქ ლაპარაკია თუნდც მხოლოდ პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე.

– ეროვნულმა ბანკმა არ უნდა აგოს ამაზე პასუხი?

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეროვნული ბანკი არის ინსტიტუციურად ძალიან სუსტი, ეს არის ლადო გურგენიძის მთავრობის დამსახურება, რომელმაც 2008 წლის დასაწყისში ხელი შეუწყო ეროვნული ბანკის დასუსტება-დანაწევრებას. ამას ემატება ისიც, რომ უკვე 15 თვეა ამ ბანკს პრეზიდენტი არ ჰყავს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ დავით ამაღლობელს, ვიცნობ, როგორც კარგ ეკონომისტს და

მის კომპეტენტურობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ის რაც მოხდა 7 ნოემბერს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი გაკეთებულია. რეალურად იკვეთება ასეთი კვალი, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და ფულად საკრედიტო პოლიტიკა, მუშავდება არა ცალკეულ სამინისტროებსა თუ ეროვნულ ბანკში, არამედ კანცელარიის დერეფნებში! აქედან გამომდინარე, 10 ნოემბერს გაკეთებული დავით ამალლობლის განცხადება იყო გასაოცარი, მას სჯობდა ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა! ამის შემდეგ ამ საკითხზე აღარაფერი თქმულა, ჩანს, ალბათობა იმისა, რომ ეს კვლავ განმეორდეს, არის ძალიან დიდი. მე მინდა არა გაზეთის მკითხველის შეშინება, არამედ მინდა გავაფრთხილო ხელისუფლება, რომ ნუ გააკეთებენ ამას, დაინდონ თავისი ხალხი, ბიზნესი, თავისი ეკონომიკა, იმიტომ, რომ ხელისუფლების ძლიერება ხალხის ძლიერებასა და ეკონომიკის ძლიერებაზეა დამყარებული!

ასე რომ, ჩვენ 2009 წელი მძიმე წელი გველის, მაგრამ არ იქნება კატასტროფა იმიტომ, რომ ამისი ობიექტური მიზეზები არ არსებობს. უფრო მეტიც, როგორც აგრესიის შედეგად დაზარალებულმა მხარემ, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მივიღეთ დიდი მორალური, პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერა მთელი მსოფლიოდან.

– სახელმწიფო ქონების გასხვისებასა და პრივატიზაციაში დაშვებულ შეცდომებზე რას გვეტყვით, შეიძლება მათი გამოსწორება, საქართველოს ქონებას ხომ ძირითადად ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები ყიდულობენ?

– 2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია, როგორც წესი, კანონმდებლობის სრული დარღვევით მიმდინარეობდა! სწორედ ამ გზით შემოვიდა საქართველოში რუსული, ყაზახური თუ არაბული კაპიტალი. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა **ჩვენი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე ხდება სხვა სახელმწიფო** (მაგალითად, თბილგაზი) რაც პრივატიზებულად ვერანაირად ვერ ჩაითვლება.

ყველაზე დიდ გაოცებას იწვევს ის, რომ პრივატიზებული გაერთიანებული საქართველოს ბანკის ნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობის წახალისებით განახორციელა რუსეთმა – ვნეშტორბანკის საკონტროლო პაკეტი მათ ეკუთვნით! მთავრობამ საჯაროდ უარყო სტრატეგიული ობიექტის ცნება, რათა ხელ-ფეხი გახსნოდა ასეთი ობიექტების გასასხვისებლად.

კანონით, უნდა აიკრძალოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების შემოსვლა საქართველოს ეკონომიკაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე.

კურიოზი იყო თავის დროზე ის, რომ პრეზიდენტმა ანტიმონოპოლიური რეგულირების ფუნქცია მარილის, შაქრის და სხვ. საქონლის ბაზრებზე მოძიებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, რაც სრული ნონსენსია! ეს ფუნქცია არანაირ კავშირში არ არის პოლიციისა თუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობასთან. თუმცა, ამაზე აღრე იყო, ის, როდესაც პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრს დაავალა ქართული ღვინისათვის ბაზრის მოძიება! ეს სრული უაზრობაა.

– ბატონო ლადო, ახლდანიშნულმა ეკონომიკის მინისტრმა, პირველივე დღეს განაცხადა, რომ უნდა გაატაროს სამინისტროში „დაუნდობელი მენეჯმენტი“ – რას ნიშნავს ეს ტერმინი ცოტა გაუგებარია...

– ეს არის აბსოლუტურად უაზრო გამონათქვამი, წარმომიდგენია რა მოუვიდოდათ ამის გაგონებაზე მენეჯმენტის თეორიის სპეციალისტებს. კაცი მიდის ეკონომიკის სამინისტროში „დაუნდობელი მენეჯმენტის“ გასატარებლად! იბადება კითხვა, ეს კაცი საერთოდ რაიმეს გაგებაში არის? თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ მისი მისვლით ამ სამინისტროში არაფერი არც გააკეთდება და არც გაფუჭდება, ვინაიდან ეკონომიკის სამინისტრო დღეს საქართველოს საერთოდ არ გააჩნია! ის მხოლოდ ნომინალში არსებობს! ამიტომ დღეს იქ ვინ იქნება მინისტრი, მნიშვნელობა არა აქვს. თავის დროზე კახა ბენდუქიძე დაპირდა ხალხს რომ ეკონომიკის სამინისტროს გააუქმებდა და ის 2005 წელს რეალურად გააუქმა კიდეც! ამის მერე ამ სამინისტრომ ფუნქცია დაკარგა, მხოლოდ ნომინალურად არსებობს, ზოგჯერ აუქციონებს ატარებს და რაღაც-რაღაცეებს ყიდის.

– რას წარმოადგენს დღეს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, რა გზით მივდივართ?

– საქართველოში დღეს რაც ხდება და რაც ბოლო წლებში მოხდა, შეიძლება შეფასდეს ერთი ტევადი სიტყვით – **ვოლუნტარიზმი** – როცა მავანისა და მავანის ნებაზე არის დამოკიდებული ყველაფერი. ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობა დამოკიდებულია ვოლუნტარიზმზე!

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ეკონომიკური პოლიტიკა, ის უნდა გახდეს უფრო მეტად ევროპაზე ორიენტირებული. სამწუხაროდ, პრაქტიკულად ეს არ მოხდება ამ მთავრობის ხელში.

ეთერ კასრელიშვილი